ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 195

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ქ. დუშეთი 15 ივნისი 2015 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემ სყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში - „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

„მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

„დღე" „კვირა" „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქუჩა N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB033010020011650 22 – (შემდგომში - „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ, შპს „სტოილი", რომლის რეკვიზიტებია: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №1, ს/ნ 205169538, მომსახურე ბანკი - „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი, ბ/კ 220101415, ა/ა **GE76LB0113171202103000** - (შემდგომში - „მიმწოდებელი")

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: SPA – 09100000, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საჭირო 940 (ცხრაასორმოცი) ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს: 1767.2 (ათას შვიდას სამოცდაშვიდი და 20 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი შეადგენს: 1.88 ლარს.
ბ) მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: დუშეთი რუსთაველის N27

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე, დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.
5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს განყოფილების უფროსი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა (გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება).

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.
9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებ ას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს

მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების 3 როცესში, მიმწოდებელმა წ ერილობით უნდა ა ცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შეს ახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი ი ქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ხოლო შემდეგ საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 ივლისი.

18.2 მიწოდების ვადა 2015 წლის 30 ივნისი.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი /ვ. ჩოხელი/

მიმწოდებელი:

შპს „სტოილის" დირექტორი: /თ. მირესაშვილი/

იურისტი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 537

10 ივნისი 2015 წელი

ქ. დუშეთი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

მ/წლის ივნისის თვეში, ძლიერი წვიმების შედეგად ანანურის, ფასანაურის, ხეობის, გუდამაყრის, ბარისახოს, ბაზალეთის, ჟინვალის, ჭოპორტის, გრემისხევის და ქ. დუშეთის, ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანდა შიდა საავტომობილო გზები და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები.

ანანურის, ფასანაურის, ხეობის, გუდამაყრის, ბარისახოს, ბაზალეთის, ჟინვალის, ჭოპორტის, გრემისხევის და ქ. დუშეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გამგებლის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესწავლილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩასატარებელი სამუშაოების საკითხი, წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშება - სამუშაოებისათვის საჭირო საწვავის გათვლა 940 ლიტრის ოდენობით და შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვები.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 35216,2 ლარი. აქედან:

ა) ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ბანცურთკართან გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 150 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 282 ლარი;

ბ) ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. წინამხარში ხანდოს ხევის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 145 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 272,6 ლარი;

გ) ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. საცხავატლოში და მიგრიაულებში ხევის კალაპოტის და გზის გაწმენდითი სამუსაოებისათვის საჭირო 120 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 225,60 ლარი;

საქართველო, 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA
+995(346)221989
+995(346)221990
WWW.DUSHETI.ORG.GE
GAMGEOBA@GMAIL.COM

დ) გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლებში მისასვლელი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 290 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 545,2 ლარი;

ე) ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ქობულოსთან გზაზე ჩამოსული მეწყერის გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 150 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 282 ლარი;

ვ) ქ. დუშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ობსერვატორიის ქუჩის და მთვარელიანთ დასახლებაში გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 85 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 159,8 ლარი;

ზ) ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფ. მლაშის მთავარი საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის - 9335 ლარი, სოფ. ძველი საკრამულოს საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 1361 ლარი, სოფ. ძველი საკრამულოს საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის (სკოლის უკან) – 455 ლარი, სოფ. საკარამულო-ბაგის საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 795 ლარი;

თ) ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ჩინთში ე.წ. „საკანაფის ხევის" კალაპოტის გაჭრა-დაღრმავებისათვის - 4612 ლარი;

ი) ჭოპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. წითელსოფელში ე.წ. „მთიულების დასახლება" ხევის კალაპოტის გაჭრა-დაღრმავებისათვის - 3840 ლარი;

კ) გრემისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფ. ძველი ბურღული, თხილოვანი, არბოეთის საავტომობილო გზების გაწმენდა-მოშანდაკებისათვის - 4820 ლარი, სოფ. გრემისხევი-ციგრიაანის და გრემისხევი-ციხისუბნის საავტომობილო გზების გაწმენდა-მოშანდაკებისათვის - 4835 ლარი;

ლ) ქ. დუშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში: ყვავილისა და ობსერვატორიის მიმდებარე საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 975 ლარი, კობიაანთკარის საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის - 726 ლარი, კარიაულთკარის გასწვრივ დუშეთის ხევის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 900 ლარი, კობიაანთკარი-შალიკიანთკარის საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 795 ლარი.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა (მ. ზაქაიძე) უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;
3. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (დ. შაბურიშვილი) უზრუნველყოს გამოყოფილი თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება.
4. შესყიდული საწვავის მიღება და განაწილება უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის, სამეურნეო ტექნიკურმა განყოფილებამ (გ. ჭონქაძე);
5. საწვავის მიზნობრივ ხარჯვაზე და დოკუმენტაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებს: ანანურის, ფასანაურის, ხეობის, გუდამაყრის, ბარისახოს და ქ.დუშეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში: გენადი გულბათაშვილს, თინა წიკლაურს, ზურაბ წოწკოლაურს, მალხაზ წიკლაურს, მზექალა არაბულს და იოსებ ბუჩაშვილს.
6. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა (ე. ჩოხელი) უზრუნველყოს ბრძანების დროულად გაცნობა ამ ბრძანების 2,3,4,5 პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: /ვ.ჩოხელი/

N	ადმინისტრაციული ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ თანხა
1	ხეობა	120	1,88	225,6
2	გუდამაყარი	290	1,88	545,2
3	ბარისახო	150	1,88	282
4	ანანური	150	1,88	282
5	დუშეთი	85	1,88	159,8
6	ფასანაური	145	1,88	272,6
		940		**1767,2**